

კომპიუტერული გრაფიკოსი 040152

პროფესიული სტანდარტი

I სფეროს აღწერა

კომპიუტერული გრაფიკოსი წარმოადგენს ინფორმატიკის დარგობრივი სფეროს პროფესიულ კვალიფიკაციას.

კომპიუტერული გრაფიკა არის ინფორმატიკის ქვესფერო, რომელიც შეისწავლის კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით გრაფიკული გამოსახულებების შექმნა/რედაქტირების მეთოდებსა და საშუალებებს. ეს არის საქმიანობის სფერო, რომელშიც კომპიუტერი გამოიყენება როგორც რეალური სამყაროდან მიღებული ვიზუალური გამოსახულების დამუშავების, ასევე ახალი გამოსახულების (ნახატების, ნახაზების, ანიმაციის, მოდელების) შექმნის იარაღი.

დღეისათვის კომპიუტერი და მისი დახმარებით შექმნილი გამოსახულებები შეეხო ცხოვრების მრავალ ასპექტს. კომპიუტერული გამოსახულება გვხვდება პოლიგრაფიაში, ტელევიზიაში, სამედიცინო გამოკვლევებსა თუ ქირურგიულ პროცედურებში. კარგად კონსტრუირებულ კომპიუტერულ გრაფიკას შეუძლია უფრო იოლად და გასაგებად წარადგინოს რთული სტატისტიკური მონაცემები. შეიქმნა მრავალი ძლიერი მექანიზმი, რათა მოხვდეს მონაცემების უკეთ ვიზუალიზაცია. კომპიუტერული გამოსახულება შეიძლება დაიყოს რამოდენიმე განსხვავებულ ტიპად: 2D, 3D, ანიმაცია.

კომპიუტერული გრაფიკის გამოყენების ძირითადი სფეროებია:

- ციფრული ფოტოგრაფია და საგრძნობლად გაზრდილი საშუალებები ფოტოების დამუშავების.
- კომპიუტერული გრაფიკა კინოსა და ტელევიზიისთვის.
- სპეც-ეფექტები, ვიზუალური ეფექტები, ციფრული კინემატოგრაფია.
- მსოფლიო ქსელი (World Wide Web) და ვიდეოკონფერენციები.
- სამეცნიერო და საქმიანი მონაცემების ვიზუალიზაცია.
- კომპიუტერული ტომოგრაფია.
- კომპიუტერული თამაშები, ვირტუალური სინამდვილის სისტემები (მაგ. თვითმფრინავის მართვის ტრენაჟორი პილოტებისთვის)

II დასაქმების სფერო

კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება დასაქმდეს გამომცემლობაში, სარეკლამო სააგენტოებში, რადიოსა და

ტელევიზიაში ან ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც დაკავებულია სარეკლამო და პოლიგრაფიული საქმიანობით გრაფიკოსის ან დამკაბადონებლის თანამდებობაზე. ასევე შეძლებს მუშაობას სამშენებლო, არქიტექტურულ და კერძო კომპანიებში, რომლებიც მუშაობენ ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის განხრით; სამაუწყებლო კომპანიებში, ანიმაციურ და გახმოვანების სტუდიებში, სადაც მიმდინარეობს მიმდინარე პროცესების ვიდეო-აუდიო ფიქსაცია და დაკავებულია ვიდეო-აუდიო მონტაჟით.

III საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მესამე საფეხურის კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაციის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. აქედან მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

IV. კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> - კომპიუტერის მოხმარება და ფაილების მართვა; საოფისე სისტემებში (Microsoft Word, Excel, PowerPoint) მუშაობა; ინტერნეტ სერვისების გამოყენება. - რასტრული გრაფიკული რედაქტორის მუშაობის პრინციპები: ობიექტების შექმნა და დამუშავება, ტექსტთან მუშაობა და მისი სტილიზაციის მეთოდები; - გამოსახულების დამუშავების პრინციპები: აღდგენა, კორექცია, დეფექტების და ცდომილებების მოშორება, კონტრასტების და ტონირების რედაქტირება; - გრაფიკული რედაქტორების ძირითადი ელემენტების: შრეების, არხების, ნიღბებისა და ფილტრების დანიშნულება და მათი მუშაობის პრინციპები; - 3D პროგრამის მუშაობის ზოგადი პრინციპები: სცენური და არქიტექტურული ობიექტების შექმნა და მოდელირება; - ანიმაციური მეთოდები და მათი გამოყენების პრინციპები; - ავეჯის, შენობების, გარემოს და ა. შ. მოდელირება და ვიზუალიზაცია; - 3D ეფექტების გამოყენება. - მარტივი ანიმაციური ელემენტებით დინამიური გრაფიკის შექმნა; - გადაცემების ქულებისათვის და სარეკლამო რგოლებისათვის. მოძრავი გრაფიკული ანიმაციების შექმნა. ტექსტების ანიმაციური და გრაფიკული დამუშავება.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბუკლეტების, ფლაერების, პლაკატების, სარეკლამო ბანერების და სავიზიტო ბარათების ბეჭდვისათვის მომზადებას რასტრული გრაფიკული რედაქტორის საშუალებით; - სამგანზომილებიანი არქიტექტურული ობიექტების მოდელირება, ტექსტურირება, ანიმირება და ვიზუალიზაცია 3D პროგრამის გამოყენებით; - ტექსტების 3D ანიმაციურ და დინამიურ დამუშავება. მულტფილმისა და

		<p>თამაშის პერსონაჟის შექმნა და ანიმაციური მოდელირება; ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის შექმნა;</p> <p>– საინჟინრო და არქიტექტურული ელემენტების შექმნა.</p>
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია შესასრულებელი სამუშაოს გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და დაკვეთის კვალიფიცირებულად შესრულება.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან სხვა საშუალებების გამოყენებით.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი დამკვეთთან, მისგან ინფორმაციის მიღება, კონკრეტულ შემთხვევებში მისთვის რჩევის სახით საჭირო ინფორმაციის მიწოდება.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია დამკვეთის მოთხოვნის აღწერა და წერილობით გადმოცემა.</p> <p>შესრულებული დაკვეთის პირველადი განხილვისათვის მიზნით, პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი ნამუშევრის წარდგენა კლიენტის, კოლეგებისა თუ ხელმძღვანელობისათვის.</p> <p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ტექნიკური აღწერილობის გაცნობა და კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p> <p>აქვს ჯგუფში მუშაობის, კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა.</p> <p>ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</p>

<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>გაცნობიერებული აქვს პროფესიული საქმიანობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</p>
----------------------------	--	---